

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	იკაროსი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	პროფესიული კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	211351071

დაწესებულება ახორციელებს	
I საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	✓
II საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	✓
III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	✓
IV საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	
V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	
სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში)	

პროგრამის დამატების სურვილი (კი/არა)	არა
--------------------------------------	-----

ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის/ლიცენზიის/პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების (უმალესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში) შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	№04-14072, 04-9452
თარიღი	18.11.2011წ. 02.09.2011წ.
ავტორიზაციის ვადა	

საკონტაქტო ინფორმაცია	
თვითმმართველი ერთეული (ქალაქი)	თბილისი
მისამართი	მარშალ გელოვანის გამზირი №4
საფოსტო ინდექსი	0159
დაწესებულების ვებ-გვერდი	icarus.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@icarus.ge
ტელეფონი/ფაქსი	2 38 17 80, 2 37 39 81, 2 37 39 96
დაწესებულების ხელმძღვანელი/წარმომადგენელი	რუსუდან ჩართოლანი
ტელეფონი/ფაქსი	577 90 04 05
ელ-ფოსტა	rusiko.72@gmail.com
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	ლია ვაშაკაშვილი
ტელეფონი/ფაქსი	577 90 04 08
ელ-ფოსტა	lvashakashvili@gmail.com

ავტორიზაციის სტანდარტები	
1. საგანმანათლებლო პროგრამები	
1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)	
<p>აღწერა: თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენის სარეკომენდაციო ფორმის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო პროგრამების სილაბუსები, ბიუჯეტები. პროგრამების მოდიფიცირება (შეცვლილი კრედიტების რაოდენობა) გაწერილია სტანდარტების შესაბამისად;</p>	

პროგრამების ჩამონათვალი რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას					
№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)
1	მზარეული	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	II	ავტორიზებულია
2	მზარეული	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	III	ავტორიზებულია
3	კონდიტერი	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010462	90	III	ავტორიზებულია
4	ტურ-ოპერატორი	ტურ-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი	60	III	ავტორიზებულია

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმეფასების წლიური ანგარიში

5	გიდი	გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-სპეციალიზირებული გიდი 020551	60	III	ავტორიზებულია
6	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	სარესტორნო საქმის მწარმოებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020554	45	III	ავტორიზებულია
7	ბარმენი	ბარმენის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020556	30	III	ავტორიზებულია
8	მიმღები-რეცეფციონისტი	მიმღები-რეცეფციონისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020555	30	III	ავტორიზებულია
9	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020553	60	III	ავტორიზებულია
10	სომელიე	სომელიეს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020558	45	III	ავტორიზებულია

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი (ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას					
№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

დადასტურება	
--------------------	--

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ

აღწერა	კოლეჯში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ
დადასტურება	საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე www.icarus.ge

1.3 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს

აღწერა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
დადასტურება	დასტურდება შიდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (2013 წლის 1 ივლისის №01-09/186 ბრძანება) მოდიფიცირებული პროგრამები.

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

აღწერა	კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები
დადასტურება	დასტურდება 2013 წლის 03 იანვრის №01-09/1 ბრძანებით

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

აღწერა	კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვა კოლეჯებთან;
დადასტურება	დასტურდება 2013 წლის 03 იანვრის №01-09/1 ბრძანებით, ასევე, გაფორმებული მემორანდუმებით სხვა კოლეჯებთან

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

აღწერა	სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, კოლეჯი პერიოდულად ატარებს გამოკითხვას სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, გარე პირებთან და მათ შმთავაზებულ წინადადებს ვითვალისწინებთ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
დადასტურება	2012 წლის 29 დეკემბრის №01-09/324 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის განხორციელების შეფასების, მეცადინეობის შეფასების ფორმა, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

აღწერა	კოლეჯის სასწავლო კორპუსი შეადგენს 10 500კვ.მ., რეაბილიტირებულია საერთო ფართი 1486,14 კ.მ., რეაბილიტირებული სასწავლო აუდიტორიები და სასწავლო სახელოსნოები შეადგენს 922.67 კვ.მ. დარჩენილი რეაბილიტირებული ფართი არის დამხმარე. სასწავლო ფართი 300კვ.მ. საჭიროებს რეაბილიტაციას, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა.
მისამართი	მარშალ გელოვანის გამზირი №4
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	ასლები საჯარო რეესტრიდან ამონაწერი 21.068.2006წ. რეგისტრაციის №012006050772;11.01.2008წ. რეგისტრაციის №882008005975; 02.07.2009წ. რეგისტრაციის №882009191984
კვ.მ.	15 480
დადასტურება	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი

აღწერა	სასწავლო ფართის ინფრასტრუქტურა შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს საჭიროების მიხედვით
დადასტურება	ინვენტარი და დანადგარები ასახულია კოლეჯის ბალანსზე

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

აღწერა	კოლეჯი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, კონდიციონერებით. მოწესრიგებულია და გარემონტებულია სველი წერტილები, საშხაპეები. კოლეჯში არის 4 გასახდელი, საშხაპით. საგამოფენო სივრცე, რომელიც აგრეთვე გამოიყენება სტუდენტთა
--------	---

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	მოსასვენებლად აღჭურვილია რბილი სამეულებითა და ტელევიზორით.
დადასტურება	კოლეჯში ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, სასმელი წყლის არსებობა განათებისა და გათბობის საშუალებების არსებობა დასტურდება აღნიშნული რესურსების მომწოდებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურებით, რომელთა საფუძველზე ხდება მოხმარებული რესურსების ღირებულებების გადახდა

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

აღწერა	კოლეჯის ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 165 დასახელების წიგნს (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროგრამების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას
დადასტურება	ბიბლიოთეკის დებულება 2013 წლის 03 იანვრის №01-09/03 ბრძანება; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი 2013 წლის 14 თებერვლის №01-09/50 ბრძანება

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

აღწერა	სასწავლო პროცესისა და დაწესებულების მართვაში გამოიყენება: ინტერნეტი, ვიდეო სათვალთვალო კამერები, სიგნალიზაცია და კომპიუტერული ქსელი
დადასტურება	დადასტურება არის მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

აღწერა	კოლეჯში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა შესაბამის ჟურნალებში; ტაბელის წარმოება სამუშაო დროის აღრიცხვისათვის; სტუდენტების პირადი საქმეების მოწესრიგება და სპეციალობების მიხედვით დაწყობა; დანიშვნის ბრძანებებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების წიგნების; დიპლომების გაცემის წიგნის წარმოება და ა.შ
დადასტურება	კოლეჯის საქმეთა ნომენკლატურა 2012 წლის 29 დეკემბრის № 01-09/320 ბრძანება და სარეგისტრაციო ჟურნალებით

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	კოლეჯში არის ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი და ინვენტარი
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	კოლეჯის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	კოლეჯში არის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	კოლეჯის ყველა სართულზე და ეზოში დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა;
დადასტურება	უსაფრთხოების წესების შესახებ გამოცემული 2013 წლის 01 თებერვლის №01-09/33 ბრძანება; სამედიცინო პუნქტის, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ვიზუალური დათვალიერებით

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის	
აღწერა	კოლეჯს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის (პანდუსი, სველი წერტილები); კოლეჯის მასწავლებლებმა გაიარეს სპეციალური მომზადების კურსი - ტრენინგი ინკლუზიური განათლების შესახებ
დადასტურება	დასტურდება შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი	
აღწერა	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქცია და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია შემდეგი ბმულები: სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამები, სიახლეები, კოლეჯის პარტნიორები, საერთაშორისო ურთიერთობები, ფოტო გალერეა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, კონკურსები, კოლეჯის პერსონალის სია, ბილიოთეკის შესახებ ინფორმაცია, ჩატარებული კვლევები და სხვა მნიშვნელოვანი ღონიძირებები კოლეჯის შესახებ
დადასტურება	დასტურდება ვებგვერდით www.icarus.ge

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალურ რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
აღწერა	შემუშავებული არის კოლეჯის 1012-1017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, აგრეთვე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რაც ითვალისწინებს მატერიალურ რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს
დადასტურება	სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტი

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს	
აღწერა	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს
დადასტურება	დასტურდება შესაბამისი პირადი საქმეებით, დიპლომების ასლებით, ბრძანებით, ხელშეკრულებებით

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ	
აღწერა	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. კოლეჯში მოწვეულნი არიან პედაგოგები ინდუსტრიიდან. მაღალი კლასის პროფესიონალები გამოცდილებას უზიარებენ კოლეჯის სტუდენტებს. პედაგოგთა უმეტესობა არის სასტუმრო

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	ქსელის მარიოტის, შერატონის და რედისონის მოქმედი მენეჯერები. ასევე გვყავს ესპანელი შეფ მზარეული. მენეჯერები და მზარეულები თბილისის წამყვანი სარესტორნო ქსელებიდან.
დადასტურება	დასტურდება შესაბამისი პირადი საქმეებით, დიპლომების ასლებით, ბრძანებით, ხელშეკრულებებით

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა	
აღწერა	ამჟამად კოლეჯში სწავლობს 157 პროფესიული სტუდენტი და 33 პროფესიული მასწავლებელი მუშაობს

3.4 პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	
აღწერა	პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პედაგოგების შერჩევა ხორციელდება მათი განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების საფუძველზე შესაბამის სფეროში და ინიშნებიან კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით, ფორმდება მათთან ხელშეკრულებები.
დადასტურება	პედაგოგთა CV, დირექტორის ბრძანებებითა და პედაგოგებსა და კოლეჯს შორის დადებული ხელშეკრულებებით.

თანდართული დოკუმენტაცია	
--------------------------------	--

შევსების თარიღი	01.07.2013წ.
------------------------	--------------